კინოში: „გოგორებისთვის“, „მარტოობის ორდენის კავალერი“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, ოთარ იოსელიანის „მანტრანა“, ლევან თუთბერიძის „მოგზაურობა ყარაბაღში“, „დათა თუთაშხია“, „მომოლიერო ჩემო მიწავ“, „გამოცხადება“, ტელეფილმებში: „ირინეს ბედნიერება“, „გვადი მიგვა“, აუდიოჩანაწერებში: ბიბლია, „ვეფხისტყა-

ოსანი“, ილია; აკაკი; ვაჟა; დავით კლდიაშვილი; გალაკტიონი; ოთარ ჭილაძე...

ხოლო როგორც მწერალს გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „თქვენ მომავლით“, „მსახიობის ჩანაწერები“, „კორქსართობი“, „მოთხრობები და მიძღვნი“, „პირველის უკანასკნელი ღამე“, „თამადა“, „სახლი რუსთაველზე“ და ა.შ. და ა.შ.

ხშირად აღმოაჩენ, რომ მისი როლების სიღრმე განპირობებულია მისი ფართო ინტერესების სპექტრით, პატრიოტიზმით, საიდანაც ამოღინდება უღვევი ენერჯია, ისტორიის სიყვარული, ქვეყნის საჭირობოტო საკითხებზე მუდმივი ღელვა და ფიქრი და ამიტომაც, მისი როლის მომზადებას წინ უძღოდა ცხოვრების კონკრეტული ფაქტების გახსენება, მათზე დაკვირვება-განალიზება და მხოლოდ ამის შემდეგ გულის მეხსიერებაში მისი გადატანა. იმაზე, რომ გოგი ხარაბაძე მართლაც დიდი აქტიორია, მეტყველებს მისი ეს გამოხატვა: „რაც მიყვარს, ყველაფერს ვაძლევ და ვწირავ იმას. თუ არადა, არ არსებობს იგი ჩემთვის, არ მაღელვებს“. (გ. ხარაბაძე).

უამრავი შეფასება, რეცენზია წამიკითხავს მის შესახებ, ის სამართლიანად არის მიჩნეული ისეთ აქტიორად, რომელმაც შესძლო ანალიზით, გმირის სახის გაცოცხლებაც და მაყურებლის შთაგონებაც. აქედან მინდა მოვიყვანო გიორგი გვახარიას დასამახსოვრებელი ნაწყვეტი რეცენზიიდან: „გოგი ხარაბაძის ჩიტუნელას, რომელიც ჩემი აზრით, საუკეთესოა თავად ფილმშიც და მსახიობის კინოპროფილაშიც. ფილმის სხვა უარყოფითი გმირებისაგან გამორჩევით, ჩიტუნელას „მორთების“ ასნა, თითქოს არც სჭირდება, რადგან მრგობის სტილიტიკის ერთგული გოგი ხარაბაძე თავად ხსნის გმირის ქმედებას, უფრო სწორად, ერთგვარ დისტანციას იცავს თავის გმირთან – აფასებს მას, ზოგჯერ ირონიითაც კი“.

ცალკე საუბრის თემაა მისი აუდიოპროექტები ბიბლია, „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟა, ილია, აკაკი, გალაკტიონი, წმინდა ნინოს ცხოვრება, ო-

არ ჭილაძე და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ ყოველთვის, როცა მის ჩანაწერებს ვისმენ, თნოლოვით ვისმენ მისი ბავშვობის მოგონებას, როცა ის მხოლოდ და მხოლოდ ოთხი-ხუთიოდე წლის იყო. გაიღვიძა და ოდნავ გაღებულ კარში დედის მოჰკრა თვალი, რომელიც დაჩოქილი მხურვალედ ლოცულობდა. გოგი ხარაბაძე, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი შეშინდა და ინტუიტურად ჩასწვდა იმას, რომ დედის იმ უჩვეულო სიმარტოვეში შეაბიჯა, სადაც რაღაც სხვა, რაღაც მიუწვდომელი სუფევდა... ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი, პირველი შეხება, რაც მეორედ დაბადების რთულ გზას წინ უძღოდა.

მისი მღვიძარე სული, რომელიც მუდამ მრობობდა, მუდამ იწვოდა და ამავე დროს, ცხოვრების მიმდინარეობას არ გაურბოდა, ვარემორტყმული იყო უამრავი მეგობრით, მაგრამ არასოდეს ავიწყდებოდა უფლისკვენ მიმავალი ვიწრო გზის არსებობა, ერთხელაც, მეგობრებთან ერთად ასეთი გასეინების შემდგომ გულმა სიონის ტაძრისკენ გაუწია. სანაპიროს მხრიდან მანქანა გააჩერა და სიონის ტაძრის ეზოში შევიდა და როგორც თვითონ ჰყვება: „ხის სუამზე უწმინდესი იქადა, მარტო... მოულოდნელობისაგან გაავსებდით! ზამთარში, შუალამისა ტაძრის ეზოში ნამდვილად არ ველოდი მის ნახვას!“, მაგრამ ასეა, ასეთი საჩუქარი მხოლოდ ჩრეულთა ხვედრია, გოგი ხარაბაძის ხვედრი და მაინც, რატომ გვალევა ვება, რატომ შთავაგავნება, რატომ გვაჯერებს, რატომ დაგვაფიქრებდა ის ყოველ ჯერზე, როცა ის აქტიორობდა, როცა რეკლამატორობდა, როცა მწერლობდა – რადგან ამის იქით იგრძობოდა მისი სულის მოძრაობა. რადგან ამის იქით იგრძობოდა მისი სულის მოძრაობა, რომელიც ყოველთვის ადამიანის მაღალი დანიშნულებისკენ მიემართებოდა.

„ო, როგორ ეურჩება ადამიანი ღმერთს, როგორ ვერ ელევა მიწიერ ვნებებს, რადგან სისხლს ღვრის. რატომ ვერაფერი ისწავლა მან საკუთარი ან სხვისი გამოცდილებიდან? თუნდაც ჩვენ, ქართველებს, რა გვასწავლა ილიას მკვლელობამ, გალაკტიონის თვითმკვლელობამ...“

ან თუნდაც, როცა ის რამაზ ჩხიკვაძის დაკრძალვის შემდეგ ფიქრს აწყევბა: „ასე უკვალად წავიდნენ ხორაბა, სერგო, ეროსი, არავინ დატოვეს ვინმე ფიქრების გარდა... არავითარი სკოლა, მიმდინარეობა არ დატოვეს... ვულკანევიით მოიფრქვევინ, იმხურვალეს, იმობოქნეს და დაღუმდნენ. არ გავსწროვოთ სიმართლეს თვალი, არ ვეძიოთ მიზეზები, არ დაგფიქრდეთ?“

და როცა მახსენდება მისი მასწავლებლის და მეგობრის, სერგო ზაქარიასის სიტყვები: „შედი – თეთრი რაშია, რომელიც გაუჩერებლად დაქრის. ერთხელ იქნება, არავინ იყის, როდის ჩამოვიქროლებს და უნდა მოახტე, ამ ნახტომისათვის კი მუდმივად მზად უნდა იყო“.

ვფიქრობ, გოგი ხარაბაძე – მსახიობი, მწერალი და „პოეტი“, მოახტა ამ თეთრ რაშს და აღმოჩნდა, რომ მისი ცხოვრება ამ თეთრ ცხენს – თავისი ქვეყნის მედს – მის წუხილს, სამუდამოდ დაუკავშირდა.

შაჰლინ სირაძე





„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვლივართ...“ – ანტონი და სენტ-ეგზიუპერის ეს საქვეყნოდ ცნობილი ფრაზა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბავშვობაში განცდილი ემოციები და მიღებული შთაბეჭდილებები ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია ადამიანის პიროვნების ფორმირებაში. როგორ უნდა მივუღვეთ ბაღის ასაკის ბავშვებს, რომ მათ არ წავართხათ ბავშვობა, თუმცა, პარალელურ რეჟიმში, ვეცადოთ მათი ინდივიდუალიზაციისა და თვითმყოფადობის წინა პლანზე წამოწვევა? „რეპორტიორის“ სტუმარია ბავშვთა ფსიქოლოგი ირინა ნიკოლაიშვილი.

ქალიან სფრთხილო, რომ ბავშვებს არ ნაპარტივით ბავშვობა და ისინი არ აღვზარდოთ მხოლოდ მაღალი ელიტარული ნორმებით

ბავშვთა ფსიქოლოგი ირინა ნიკოლაიშვილის რჩევები მშობლებს...



– ქალბატონო ირინა, მინდა ჩვენი ინტერვიუ იმ ეტაპზე საუბროთ დაიწყოთ, როცა მშობელი პირველად შორდება შვილს, პირველად ტოვებს მას უცხო გარემოში, მიჰყავს ბაღში და იწყებს მის მოზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ბავშვები ხომ სხვადასხვანაირები არიან და ბევრ მათგანს ძალიან უჭირს მშობელიდან პირველი განშორების გადატანა... როგორ უნდა მოვიქცეთ უფროსებში, რომ პატარებმა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაიტანონ ეს პროცესი და, საერთოდ, აუცილებელია თუ არა ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანა?

შემა, რათა მან დაიწყოს არა მარტო დადებითი, არამედ რაღაც უარყოფითი სიტუაციების დაძლევა, რომ მოემზადოს ცხოვრებისთვის! ბავშვისთვის ადვილი არ არის მშობელთან პირველი განშორება, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ მშობლებს, ამ დღისთვის მოამზადონ არა მხოლოდ ბავშვები, არამედ მოემზადონ თავდაცვით.

– როგორ უნდა მოემზადონ მშობლები ამ დღისთვის და როგორ უნდა მოამზადონ შვილები?

– თუ მშობელი სამ წლამდე ბავშვს ატყობს, რომ უჭირს კომუნიკაცია, არ უყვარს სტრუქტურის მოსვლა, უჭირს სხვა ბავშვებთან სათამაშოს გაზიარება, უჭირს მისი აზრის ორ ან სამ ადამიანთან გამოხატვა, ეს ცალსახად აძლევს მას იმის ნიშანს, რომ ასეთ ბავშვს, ბაღში მოხვედრის პირველივე დღიდან, ჩაუქრება სურვილი, კვლავ მოხვდეს იმავე სიტუაციაში და იგი ყველაზე ნაირად ეცდება, დარჩეს დასჯილ გარემოში, სახლში, მშობლებთან, მეგობარებთან თუ ძიძასთან. ამ მხრივ ნაკლებად პრობლემურია ბავშვი, რომელიც უფრო კომუნიკატიულია, არა აქვს პრობლემა სხვა ბავშვებთან თამაშის და უყვარს თანატოლებთან ყოფნა. ასეთი ბავშვის მშობელს ბევრი საფიქრალი არა აქვს, თუმცა, გარკვეულ დეტალებს, რა თქმა უნდა, მანაც უნდა მიაქციოს ყურადღება. რაც შეეხება თქვენს შვილებს, თუ როგორ უნდა მოემზადოს ამ დღისთვის მშობელი, კარგი იქნება, თუ ბაღში წასვლამდე, ყველა მშობელი თავის მიკროგარემოში მოაწყობს იმ სიტუაციის ინსცენირებასა თუ მოდელირებას, რა სიტუაციის გადალახვაც მოუწევთ სამომავლოდ, ანუ, ერთმანეთთან განშორების გადალახვა. რო-

გორ ხდება ეს? სანამ ბავშვს მოუწევს ბაღში დარჩენა, მას უნდა მოუწიოს გეზისთან, ძიძასთან თუ გასართობ ცენტრში დარჩენა, ანუ, მშობელთან მცირე ხნით განშორება. აქედან გამოდინარე, მცირე ხნით მის გარეშე დარჩენის ჩვევა მშობელმა უნდა გამოუმუშავოს არა უშუალოდ ბაღში წასვლის წინ, არამედ, მანამდე, თუნდაც ექვსი თვით ადრე. ეს ჩვევა ბავშვს შეიძლება გამოუმუშავდეს, როცა დედა მცირე ხნით მამასთან განმარტოვდება და ბავშვს მოუწევს ლოდინი, ან მამის, როცა მშობელი დროს დაუთმობს სამსახურს თუ სატელეფონო საუბარს, როცა ბავშვს ასევე მოუწევს ლოდინის ფენომენის გათავისება, ან მამის, როცა მას დატოვებენ ოთახში მარტოს და მისცემენ მითითებას, დაალოდოს თავისი სათამაშოები, ან დააძინოს თოჯინა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდეს ოთახიდან... განშორების ეპიზოდს ის ასე შეეჩვევა და მიიღებს დედის გარეშე მცირე ხნით დარჩენის გამოცდილებას. შეიძლება ცოტა ხნით ბავშვი დარჩეს სვერში სათამაშოდ და ის ვერ ხედავდეს მშობელს, მაგრამ მშობელი აუცილებლად უნდა ხედავდეს მას, რადგან, როგორც კი ბავშვი გააცნობიერებს, რომ იმყოფება მარტო და დაუცველად, და როგორც კი დაიწყებს თვალის ცეცებას, მის გვერდზე მამინვე, აუცილებლად, უნდა გაჩნდეს დედა ან მამა, რათა მას, თუნდაც რამდენიმე წამის განმავლობაშიც კი, არ დაეუფლოს შიშის შეგრძნება.

– ქალბატონო ირინა, რა ასაკიდან არის რეკომენდებული ბავშვის ბაღში მიყვანა?

– კარგი იქნება, თუ ჩვენს ქვეყანაში მოვერგებოთ საკუთარ პოპულაციას და ხისტად არ გადმოვიტანოთ სხვა ქვეყნების გა-

მოცდილებას. ამის გათვალისწინებით კი, საქართველოში ბავშვი სამ წლამდე ბაღში არ უნდა მივიყვანოთ, რადგან, სწორედ ამ ასაკიდან იწყებს ის სოციალიზაციას. სამი წლის ბავშვი უკვე მზად არის კვებისთვის, „ქოთნის ინსტიტუტისთვის“, დამოუკიდებლად, მოტორული განვითარებისთვის, ჯგუფური საშუალებისთვის, ძერწვისთვის, ხატვისთვის, ცეკვისთვის თუ სხვა ბავშვებთან ერთად დავალების მიღების, აქქმისა თუ მითითების შესრულებისთვის.

– ახლა მინდა ყველასთვის მტკივნეულ საკითხს, გაჯეტებს შევხებით... ალბათ, სწორედ ბაღის ასაკისაა ბავშვი, როცა მშობელი მას პირველად აძლევს მობილურ ტელეფონსა თუ პლანშეტს. რამდენად სწორია, ბავშვის დასამშვიდებლად ან ყურადღების გადასატანად, მშობელმა გამოიყენოს გაჯეტი?


– თუ მშობელი ბავშვს აძლევს გაჯეტს და ამას შეემცნების, მისი გონებრივი განვითარების, ფერების, ფორმებისა თუ ფიგურების უკეთ აღქმის დატვირთვით აკვთვებს, იმისათვის, რომ შვილმა შეიმეცნოს ცხოველები, ისწავლოს ცხოველთა ხმები, განვითაროს სმენითი და მხედველობითი აღქმა, უტვირთავს მისი განვითარების შესაბამის აპლიკაციებს და ტელეფონის აძლევს მხოლოდ მცირე დროით, ამაში არანაირი პრობლემა არ არის. თუმცა, არც ერთ შემთხვევაში ბავშვს ტელეფონი არ უნდა მიეცეთ დიდი ხნით და უკონტროლოდ, ჭარბი დროით და განუსაზღვრელი ინტენსივობით, რადგან ეს აუცილებლად დატოვებს უარყოფით შედეგებს მის მესხიერებაზე, აღქმაზე, მხედველობაზე, ემოციებზე... ერთი სიტყვით, ყველაზე უკეთესი რაც შეეხება იმას, თუ რამდენი ხნით უნდა მიეცეთ მათ გაჯეტები... როგორც უწინ იყო, ყველაფერზე ხაზის გადსმა არ ღირს. მეცნიერულად იყო დადასტურებული, რომ მულტიპლიკაციური ფილმი 10-15 წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის არ უნდა ყოფილიყო, რადგან დროის ამ მონაკვეთში, ბავშვის გონება მობოლიზებული და ინტერესიანია, ამ დროის მერე კი, ბავშვისთვის ის ხდება მონოტონური და ჩვეულებრივი. ალბათ, ასეა მობილური ტელეფონის შემთხვევაშიც და ესაა ოპტიმალური დრო.

– რაც შეეხება გემოვნების ჩამოყალიბებას... ქალბატონო ირინა, დაახლოებით რა ასაკიდან უყალიბდება ბავშვს გემოვნება და როგორ უნდა მოახერხოს მშობელი, რომ ბავშვი თან აზიაროს მაღალ კულტურას, ხელოვნებას, გემოვნებიან მუსიკას და, ამასთანავე, მისი პატარა არ დატოვოს მის თანატოლებში მოპულანული მულტიპლიკაციებისა თუ მუსიკის გარეშე, რომლებიც შეიძლება სულაც არ იყოს გემოვნებიანი?



პეტრ კაპელი: რუსეთის ომის მოგების შესაძლებლობა არ უნდა მივსუს

„ჩვენ უკვე გვაქვს გამოცდილება და არ არის საჭირო იმის ვარაუდი, რომ რუსეთი არასოდეს შეეგუება ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური გავლენის დაკარგვას. ასევე აშკარაა, რომ ასეთი შედეგი შთაავსებს სხვა ქვეყნებს, რომლებიც ისევე ფიქრობენ, როგორც რუსეთი. რუსული აგრესია და მზარდი თავდაჯერებულობა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო წესრიგს, რომელიც აგებულია შეთანხმებულ წესებსა და თანამშრომლობაზე“, – აღნიშნა ჩეხეთის პრეზიდენტმა პეტრ პაველმა.



პაველმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ჩეხეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და განაცხადა, რომ საჭიროა პიროვნების შექმნა, რათა უკრაინა ომის დასრულებისა და აუცილებელი კრიტერიუმების

შესრულების შემდეგ გახდეს ევროკავშირისა და ნატოს სრულყოფილი წევრი.



ამერიკის მილიონები კვლავ უკრაინაში მიედიან

აშშ უკრაინას 250 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო დახმარების ახალ პაკეტს გადასცემს, – ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა განაცხადა.

სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი მოიცავს AIM-9M-ის ტიპის საჰაერო თავდაცვის რაკეტებს, HIMARS-ის რაკეტებს, 155მმ და 105მმ საარტილერიო ჯურეებს, განსაკუთრებით ალტრავილოზს, „ჯაველინებს“ და სხვა ტანკსაწინააღმდეგო სისტემებს. ბლინკენის განცხადებით, ახალ სამხედრო დახმარებაში ასევე შედის სამ მილიონზე მეტი მცირე ზომის იარაღი და სასწრაფო დახმარების მანქანები.

ცნობისთვის, ომის დაწყების შემდეგ აშშ-ის სამხედრო დახმარების ჯამური ღირებულება უკრაინისთვის დაახლოებით 44 მილიარდ დოლარს აღემატება.

სჯობს, მოლაპარაკებების მაგილას მიუსხდეთ!

უნგრეთის პრეზიდენტმა, კატალინ ნოვაკმა უკრაინას რუსეთთან მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა.



„ომი უკვე წელიწად-ნახევანია გრძელდება და მე ვერ ვხედავ ვერანაირ სამხედრო გადაწყვეტილებას, რომელიც შედეგად გამოიღებდა სტაბილურ და გრძელვადიან მშვიდობას. ამიტომ აუცილებელია მოლაპარაკებების მაგილას დაჯდომა. მე ეს მტკიცე მოსაზრება გამოვთქვი უკრაინის პრეზიდენტთან, საჯაროდ და პირადადაც“, – განაცხადა კატალინ

ანტიკური სახელმწიფოს დამოკიდებულებას პროსტიტუციისადმი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გვიანდელ დროში ევროპის სახელმწიფოებში მის განვითარებასა და მოწყობის წესზე, რამაც, თანამედროვე ხალხთა სოციალური სტრუქტურის სრული ცვლილებების მიუხედავად, გავლენა ჩვენს დრომდე შეინარჩუნა. პროსტიტუციის სამართლებრივი და სოციალური სტატუსი, ძირითადად, კვლავაც ძველ სამყაროში გაბატონებულ შეხედულებებს ემყარება, თუმცა კი ანტიკური პროსტიტუცია მონომის გარკვეული ფორმა იყო, ხოლო ჩვენს დროში მას უკვე თავისუფალი ადამიანები, ანუ დაქირავებული მონები მისდევნენ (ამ შემთხვევაში, ცხადია, ლაპარაკი არაა იძულებითი მძავრობაზე – (წ. ბ.). განა უცნაური არ არის, რომ პროსტიტუციის თანამედროვე „რეგლამენტაცია“, თავისი არსით, დღესდღეობით ტიპური მონათმფლობელური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ფორმით არსებობს. არადა, თანამედროვე სახელმწიფოში, მისი არსებობა, ყველა წესით, საერთოდ მიუღებელი უნდა იყოს!

იმის გათვალისწინებით, რომ ანტიკურ ხანაში მონობა სახელმწიფოსთვის უაღრესად სარგებლო იყო, სიკეთის მომტანი ინსტიტუტად მიიჩნეოდა, ის სათანადოდ წახალისებული იყო, რაც ავტომატურად მძავრობაზეც ვრცელდებოდა. სოლონის მძავრობის სახელმწიფო მონები იყვნენ, ამდენად ყველა სხვა ეტიკონის მონებიც, მათაც ხაზინისთვის შემოსავალი უნდა მოეტანათ. მათ ზედამხედველობას კი საგანგებო მოხელეები – „ასტინომენები“ ასორციელებდნენ, რომელთაც გარდა ამისა, ვიდრე მშენებლობების, მანერებისა და ქუჩების სისუფთავის კონტროლი ჰქონდათ დაკისრებული. მონების გარდა ისინი ქუჩის მეძველესაც მთავალყურეობდნენ და მომსახურების გასამრჯელოს ოდენობასაც განსაზღვრავდნენ. „ასტინომენები“ ინსტიტუტს რომში „ედოლები“ სამსახური შეესაბამებოდა, რომლებიც მძავრ ქალებსაც და მამაკაცებსაც ზედამხედველობდნენ. ცალკეა აღსანიშნავი, რომ პროსტიტუციის გადასახადი წმინდა წყლის მერძული ინსტიტუტიც იყო, ხოლო რომში, შემოსავლის ნაწილის, კერძოდ, ერთ სექსობრივ აქტში მიღებული თანხის სრულად გადახდის წესი, მძავრობის მხოლოდ კალიგულას იმპერატორის ხანაში შემოიღეს.

საგრძობით, რომისგან განსხვავებით, კანონით განსაზღვრული იყო ორივე სქესის მძავრობის რაიმე განსაკუთრებული სამოსლის, ანდა ტანსაცმელზე რაღაც განსაკუთრებული ნიშნის ტარება, რომლითაც მონობა მათი გამოცნობა იქნებოდა შესაძლებელი. რაც შეეხება ზოგადად ქალთა ჩაცმულობას, პატიოსან ქალბატონებს ევრძალებოდა მდიდრული სამოსლისა და ყვავილებიანი კაბების ტარება, თუმცა საგანგებოდ მძავრობა ჩაცმულობასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული ნორმები დადგენილი არ ყოფილა.

თუმცა კი მოგვიანებით, ეს დაუდგენელი წესი შეიცვალა და რომში მძავრობასთან მიმართებაში გარკვეული შეზღუდვები დაწესდა. კერძოდ, სენატის დადგენი-

ბაბრძალვა. დანაშაუნი №. №83, 85-87, 90, 93

პროსტიტუციის ისტორია



პატიოსან ქალბატონებს ეკრძალებოდა მდიდრული სამოსლისა და ყვავილებიანი კაბების ტარება

საერთაშორისო ორგანიზაცია GLOBAL SLAREZY-ს მონაცემებით, მთელ მსოფლიოში დღესდღეობით დაახლოებით 40 მილიონი მონაა, რომელთაგან 15,4 მილიონი იმულებით მორწინებაში იმყოფება ან განუკითხავ სექსუალურ ექსპლუატაციას განიცდის. 40 მილიონ მონაში 71 პროცენტია ქალი, დანარჩენი მამაკაცი და ბავშვი. იმულებითი მონობა და ბავშვობის სექსუალური ექსპლუატაცია უფრო მეტად პაკისტანში, ჰაიტიში და მაროკოშია.

ლემით და ქალთა გარყვნილების ასალაგმად, საკუთარი სხეულით ვაჭრობა ევრძალებით მათ, ვისი პაპა, მამა ან ქმარი რომელიმე მხედარი იყო. თანაც, თუკი ქალი მძავრობას განაწყვეტდა, ამის თაობაზე საჯაროდ უნდა განცხადებინა, რის შემდეგ სათანადოდ საბუთი – მატრიკული – უნდა მიეღო და სახელი შეეცვალა. ამის შემდეგ იგი იგი პატიოსანი ქალბატონებისთვის დადგენილი სამოსლის ჩაცმისა და სამკაულების ტარების უფლებას კარგავდა.

პატიოსანი ქალები, მატრიკონები, ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა მათსა და მეძავეს შორის რაც შეიძლება გადაულახავი სოციალური ბოლოები ყოფილიყო, რასაც ხელისუფალნიც უჭერდნენ მხარს. ამას თუნდაც თავისუფალ მოქალაქეთა მეძავეებზე ქორწინების აკრძალვა აღასტურებს, თუმცა კი დიდი სიყვარულით ასეთი წყვილების შეერთების მაგალითები ანტიკურ ლიტერატურაში მრავლადაა ცნობილი.

ანტიკურ ხანაში მეძავეებთან დაკავშირებული ერთი განსაკუთრებული გარემოებაა საყურადღებო. მიუხედავად იმისა, რომ მე-

ძავე სოციალური თვალსაზრისით, უდიდესი არსებობა, მასთან შეხვედრა მდინერების მომტანია.

როგორ შეიძლება ამ ცრურწმენის ახსნა? როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს მეძავის ხასიათის, როგორც მოუთოკავი, ყოველად შეუზღუდავი სექსობრივი ცხოვრების წარმომადგენლის, კავშირს თავისუფალ, შეუზღუდავ გამრავლებასა და ნაყოფიერებასთან, რასაც კეთილდღეობა და აღმაფლობა მოსდევს. ამიტომაც იყო, როგორც ჩანს, მდინერების მომტანი ნიშნად მიჩნეული მეძავთან შეხვედრა ადრე შუასაუკუნეებამდე გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთშიც და პირიქით: შეხვედრა უშვილო და სექსობრივი ურთიერთობის არმქონე პირთან, ვთქვათ, გემურ ქალთან თუ ნორჩ ქალწულთან, ანდა კათოლიკე მღვდელთან, კარგ ნიშნად არ ითვლებოდა, რადგან მას უნაყოფობას, წარუმატებლობასა და უმეღერებას უკავშირებდნენ.

ასევე გაოცებას იწვევს ის როლი, რომელსაც ასრულებდნენ მეძავეები საჯარო დღესასწაულების დროსა და რელიგიურ

ცერემონიებში, რაც ნაყოფიერებას და მასთან დაკავშირებულ ფალოსის პირველყოფილ კულტს უკავშირდება. საქმე ზოგჯერ იქამდე მიდიოდა, რომ ცნობილია მეძავთა გაღმერთების მაგალითებიც კი!

ისიც უნდა ითქვას, რომ ელიზურ ეპოქასა და რომაული იმპერიის დროსაც, მეძავეები უდიდეს, ხშირად წამყვან როლს ასრულებდნენ საერო ცხოვრებაშიც. მაგალითად, ისინი მაღალი საზოგადოების ყველა ნაწილისა და სხვადასხვა თამაშების აუცილებელი მონაწილეები იყვნენ, მართლაც მათ ჰქონდათ თეატრში თანხმობის პირის გარეშე მისვლის უფლება. ძველი სამყაროს ცხოვრებაში პროსტიტუციის უდიდესი მეგავლენა ყველაზე გამოკვეთილად ჩანს ანტიკურ მხატვრულ ლიტერატურაში. არსებობდა, შეიძლება განსვასხვავებოთ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სამი სახეობა, რომლებშიც მეძავეებს ან გამორჩეული ადგილი ეკავათ, ანდა საგანგებოდ მეძავთა და მათი კლიენტებისთვის იყო დაწერილი. ესენია, ა) კომედიები; ბ) მონოგრაფიები მეძავთა შესახებ და გ) სპეციფიკური ეროტიკული და პორნოგრაფიული ლიტერატურა. კომედიებში აისახებოდა მონადღეობისა და ცალკეულ როსკივთა ცხოვრებისეული პერიოდები, მონოგრაფიები, ამდენად ისინი არსებითად, ცნობილი პეტრეების თავისებური კატალოგებს წარმოადგენდნენ. თუმცა ვიდრე არსებობდა ანეკდოტების კრებულები, ცხოვრებისეული კოლიზიების აღწერები, ასევე ფილოსოფიური ხასიათის დიალოგები თუ მონოლოგები. მესამე ტიპს კი განეკუთვნებოდა ეროტიკულ-პორნოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც მოიცავდა ეროტიკული სიყვარულისადმი მიძღვნილ პოემებს, ასევე ამ თემაზე დაწერილ რომანებს, მოთხრობებს, სტატიებს. გერმანები შეიძლება მივიჩნიოთ ეროტიკული ლიტერატურის ფუძემდებლად, მამამთავრად კი სოტადესი მარსუერიდან, რომელიც პტოლემუს II ფილადელფოსის მეფობის ხანაში თხზავდა თავის უხამს ნაწარმოებებს.

ცალკეა აღსანიშნავი, რომ სხვადასხვა სახეობის ეროტიკულ-პორნოგრაფიული ლიტერატურის გარდა, ანტიკურ საზოგადოებრივ სივრცეში ფართოდ იყო გავრცელებული ასეთივე შინაარსის ფერწერა და ქანდაკება, მათ შორის პრაიპული სვეტები, ფალოსური სიმბოლოები, ავგაროზები, სათამაშოები და საყოფაცხოვრებო საგნებიც კი. ხელოვნებაში პროსტიტუციის თემა აისახებოდა ცნობილი პეტრეების პორტრეტებსა და ქანდაკებებში, ლანგრემის მოხატვაში, მონადღეობის ყოველდღიური ყოფის ამსახველ ფერწერულ ტილოებსა და პლასტიკურ ნაწარმოებებში.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ანტიკური ხანის ეროტიკული ხელოვნების მოტივებისა და ფორმების გავრცელება შეუძლებელია მათი პროსტიტუციის მიმართ დამოკიდებულების გაუთვალისწინებლად. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდათ მათ გაცილებით გვიანდელ ხანაში: შუა საუკუნეებსა და თანამედროვეობას ამ მხრივ რაიმე სიახლე არ მოუტანიათ.

მომამზადა ოთარ ტურაპალიძე (ბაბრძალვა იქნება)

ნოვაკმა. ამასთან, უნგრეთის პრეზიდენტმა ალენიზა, რომელმაც პაპის აპირებებს, უკრაინის „მშვიდობის ფორმულას“ შეუერთდეს. კატალინ ნოვაკის თქმით, უნგრეთი მნიშვნელოვნად მიიჩნევს თავის მონაწილეობას ნებისმიერ პროცესში, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობას. ასევე, მისი განცხადებით, უნგრეთი მტკიცედ გმობს რუსეთის ინტერვენციას.

უნგრეთის პრეზიდენტმა „ყირიმის პლატფორმის“ ფორუმში მიიღო მონაწილეობა, ასევე მოლაპარაკებები გამართა ვოლოდიმერ ზელენსკისთან.



უკრაინელები რომის პაპს უამონწყრნენ

რომის პაპი რუსი ახალგაზრდების მისამართით გავრცელებულ განცხადებაზე უკრაინული მხარის კრიტიკას პასუხობს.

საუბარია რომის პაპის იმ განცხადებაზე, რომლითაც მან რუსეთის ახალგაზრდებს მიმართა, მათ წმინდანების, მმართველების, პეტრე პირ-

ველისა და ეკატერინე მეორის „დიდი რუსეთის“ და უდიდესი განათლების, კულტურისა და ჰუმანურობის მქონე იმპერიის შთამომავლები უწოდა, მოუწოდა მათ, რომ დაივიწყან ეს მემკვიდრეობა.

ამაზე შემოთქვა გამოთქვა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. საგარეო უწყების შეფასებით, პაპი ფრანცისკეს ეს მიმართვა იმპერიალისტური პროპაგანდის ტოლფასია. უკრაინული მხარის საპასუხო განცხადება გავრცელდა ვატიკანში.

„რომის პაპი მოუწოდებდა ახალგაზრდებს, შეინარჩუნონ და განავითარონ რუსეთის სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის დადებითი მხარეები. ეს ნამდვილად არ არის იმპერიალისტური ლოგიკისა და სახელმწიფო მოღვაწეების ქება“, – განაცხადეს ვატიკანში.

25 აგვისტოს რომის პაპმა რუსეთის კათოლიკე ახალგაზრდებისადმი ონლაინმიმართვისას შემდეგი განცხადება გააკეთა:

„არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ ხართ დიდი დედარუსეთის, დიდი ქვეყნის, მისი ისტორიის, მისი წმინდანების, მისი დიდი კულტურული მოღვაწეების მემკვიდრეები. თქვენ ხართ დიდი რუსეთის მემკვიდრეები, ამიტომ გმადლობთ. გმადლობთ, რომ იცით, როგორ იყოთ ჭეშმარიტი რუსები. შეინახეთ ეს მემკვიდრეობა, გაუფრთხილდით მას.“

ბრიტანეთის პარლამენტი სუსხლს პოპაპაპა

დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა პირველად უწოდა ტაივანს დამოუკიდებელი ქვეყანა.

ახალმა ფორმულირებამ, რომელიც თემთა პალატის საგარეო საკითხთა კომიტეტის მიერ გავრცელებულ დოკუმენტშია გამოყენებული, შესაძლოა პეკინის მხრიდან მწვავე რეაქცია გამოიწვიოს.

„ტაივანი უკვე წარმოადგენს დამოუკიდებელ ქვეყანას სახელად ჩინეთის რესპუბლიკა. ტაივანს აქვს ყველა საჭირო თვისება სახელმწიფოებრივობისთვის, მათ შორის მუდმივი მოსახლეობა, გარკვეული ტერიტორია, მთავრობა და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარების უნარები – მას აკლია მხოლოდ დიდი საერთაშორისო აღიარება“, – აღნიშნულია თემთა პალატის საგარეო საკითხთა კომიტეტის მოხსენებაში.

პეტივილი რაუნდის პირველი შეხვედრის სასტარტო ხუთეულია რომ ვერ გაგვიმართლა, უკვე გაუწყეთ, მაგრამ ილიანა ზუროსი საკუთარი არჩევანის ერთგული დარჩა და სლოვენიათანაც ანდრონიკაშვილს, ტკივილგამაყრებლებით მოთამაშე სანაძეს, ოპტიმალური კონდიციებიდან ამოვარდნილ, ნახევარი გუნდის მსგავსად ტურისტად ქცეულ მაკფადენს, შენგელიასა და შერმადინს გამოუცხადა ნდობა.

შედეგი ამჯერადაც სავალალო აღმოჩნდა – მე-5 წუთზე 2:14(!). გერძენმა მწვრთნელმა ამჯერადაც მხოლოდ ამის შემდეგ ჩააბარა ბრძოლაში ცინცაძე-მითაძე-მამუკელაშვილის ტრიო და მიტეხმა პირველი პერიოდი გმირულად მოიგეს – 17:16, მაგრამ ის, რაც საკმარისი აღმოჩნდა კაპო ვერდეს გუნდის გასატეხად, ეპიზოდულ იქცა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან უთანასწორო დუელში – აქედან მოყოლებული, მრისხანე მეტოქე ყველაფერში გვკობდა და დამსახურებულადაც მოგვიგო.

საქართველო - სლოვენია 66:87
17:16, 16:29, 17:18, 17:25

საქართველო: მამუკელაშვილი – 21, 7, 1, ჯინჯარაძე – 12, 0, 1, შენგელია – 9, 4, 4, მითაძე – 7, 6, 3, მაკფადენი – 5, 1, 3, ცინცაძე – 5, 2, 7, შერმადინი – 4, 6, 1, ანდრონიკაშვილი – 2, 1, 0, სანაძე – 2 ქულა.

სლოვენია: დონჩიჩი – 34, 10, 6, კ. პრეპელიჩი – 15, 4, 2, 8, დრაგიჩი – 12, 1, 3, ტობი – 8, 6, 3, ბლაჟიჩი – 6 ქულა, ჰორვატი – 6, 2, 0, 8, პრეპელიჩი – 3, 8, 1, ნიკოლიჩი – 2, 4, 4, გლასი – 2 ქულა, ცეზარევი – 3 მოხსნა, დემეცი – 1 მოხსნა. ითამაშა აგრეთვე სამარმა.

ჯვაროსანთა ელადელმა თავაკაძემ, როგორც სრევიცა, მარცხი მსაჯებს დააბრალა – პირველ ტაიმში ჩვენ 26-ჯერ დაგვაჯარმეს, სეკუნდის გუნდი კი მხოლოდ 6-ჯერ, იმავე კი არაფერი უთქვამს, რატომ დააბრუნა სათაღარიგოთა სკამზე ჯინჯარაძე მაშინ, როცა იგი ბრძოლაში ღირსეულად ჩაება და ზედიზედ 2 სამქულიანი ჩაავლო. ცეცხლზე ნავთი დაასხეს ტელეკომენტატორებმა – პი-



სიპართლე კი ასეთია

არის მე-2 აბაჟი!

რადად დონჩიჩმა დაგვჩაგრაო, თითქოს მის პარტნიორებს საშემსრულებლო ოსტატობა და კლასი აკლდეთ. კი ბატონო, ლუკა გენიოსია, მაგრამ გადახედეთ მატჩის ოქმს და დანარჩენ ექს-იუგთა პირადი სტატისტიკაც და-განჩმუნებთ მათ პროფესიონალიზმში. რასაკვირველია, როგორც ბალკანელებს ვიცნობთ, არც ისინი ამბობენ უარს სიმულაციებზე, ვითომცა წესების დარღვევის გაფორმებასა თუ მსაჯებზე მუდმივ ზემოქმედებაზე, მაგრამ რა ვუყოთ ორივე ფარის პირწმინდად წაგებასა და ძველი რეჟიმის – საკმაოდ ბევრი საჯარო ტყორცის გაფრქვებას?

ამავე დროს, ქებას იმსახურებენ მამუკელაშვილი და ზემოთ უკვე ნახსენები ჯინჯარაძე, მაგრამ ფაქტია, რომ ორი მერცხლის ჯიჯიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა, მით უმეტეს თანამედროვეობის საკალათბურთო გრანდთან.

საბედნიეროდ, იმავე დღეს კაპო ვერდემ ვენესუელა დასცა – 81:75 და ამოცანა გაგვიადვილა – დასკვნითი შეხვედრა სამხრეთამერიკელებთან 16 და მეტი ქულით არ უნდა წაგვეგო; ხოლო თუ ამ პროგრამა – მინიმუმს წარმატებით შევასრულებდით, უმოტივაციო სლოვენია აფრიკელებს არ უნდა დასწოლოდა – დონჩიჩი და ტავანრემი ხომ რეალში ერთად თამაშობდნენ. მოკლედ, უნდა მოგვეგო და შემდეგ ეტაპზე ვიყავით...

ბედად, ვენესუელას საჯარო პრობლემები დაუგროვდა – განაცხადში მხოლოდ 10 მოთამაშე ჰყავდა, ტრავმების გამო გამოკლებულთა შორის კი გუნდის ერთადერთი ლეგიონერი – კარენა (ესპანეთის ესტუდიანტსი) მოხვდა. მიუხედავად ამისა, მეტოქემ ბოლო ორი პერიოდი მოგვიგო, თანაც სამქულიანებითაც გვაჯობა (6:5), რაც მათი ძირითადი კოზირია (წინა შეხვედრებში 72-დან 28 ჩაავდეს).

მართალია, გუმინდლამდე ტურნირზე ყველაზე მეტი – 18 დაკარგვა გვქონდა, მაგრამ ზუროსმა ისევ ის სასტარტო ხუთეული შეარჩია, რომელმაც, როგორც იქნა, გაუმართლა – 21:10 შეიძ წუთში. მიტეხმა დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს შესვენებამდე და მეორე პერიოდში მხოლოდ 4 ქულა მიიღეს, მაგრამ მეორე ტაიმში მოეგნენ და მეორე ჯგუფურ ეტაპზე თავის აუტკივლად გავიდნენ – 70:59 (24:19, 18:4, 17:21, 11:15).

საქართველო: შენგელია – 25, 3, 3, მითაძე – 11, 11, 0, ანდრონიკაშვილი – 9, 1, 2, სანაძე – 9, 1, 3, ჯინჯარაძე – 4, 9, 1, შერმადინი – 4, 3, 0, მაკფადენი – 3, 2, 2, ცინცაძე – 3, 0, 1, მამუკელაშვილი – 2, 3, 2.

მაშ ასე, ხანმოკლე დასვენება და უმძიმესი მატჩები ხვალ გერმანიასა და 3 სექტემბერს ავსტრალიასთან. იქნებ, მათთანაც გავისროლოთ.

ლაზიონარი

გიორგი მიქაუტაძე „აიასთან“ კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა



ტრაქტი გააფორმა. „აიასსა“ და „მეცს“ შორის მოლაპარაკებები სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში დაიწყო და წარმატებით დასრულდა. გიორგი მიქაუტაძეს ხუთი გუნდი იწვევდა, მაგრამ „ლიონს“, „რენს“, „შეფილდსა“ და „ლაციოს“ „აიასსი“ ამჯობინა.

სხვადასხვა წყაროების გაგრეცელებული ინფორმაციით, მათ შორის, ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა L'Equipe-ის ცნობით, ეს ტრანსფერი „აიასს“ თითქმის 20 მილიონი ევრო დაუჯდება. ამგვარად, მიქაუტაძე იქნება „მეციდან“ წასული ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე.

„ლიონის“ საფეხბურთო აკადემიის აღზრდილი 2017 წელს „მეცში“ გადავიდა. 2020/21 წლების სეზონის დაწყებამდე იჯარით თამაშობდა ბელგიის პირველი დივიზიონის „სერენში“, სადაც მომზარდობის ვახდა და ლიგის სეზონის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ამავდროულად, მისმა კლუბმა ჩემ-

პიონატში მეორე ადგილი დაიკავა და შუპილერ ლიგაში გადასასვლელ პლეი-ოფში გავიდა, სადაც „ვასლანდ ბევერენი“ დაამარცხა – ორნაუნდიან დაპირისპირებაში მიქაუტაძემ სამი გოლი გაიტანა და გუნდს დაწინაურებაში დაეხმარა.

გიორგი „მეცში“ 2022 წლის ზაფხულში დაბრუნდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა – 2022/23 წლების სეზონში ექვსჯერ დაასახლეს ლიგა 2-ის კვირის სიმბოლურ გუნდში, გახდა ლიგის საუკეთესო მომზარდობის, საუკეთესო თავდამსხმელი და სეზონის საუკეთესო მოთამაშე, ხოლო „მეცის“ საფრანგეთის ლიგა 1-ში დაბრუნებაში დიდი როლი ითამაშა.

საფრანგეთში დაბრუნებული თავდამსხმელი საქართველოს ნაკრებში პირველად 2021 წლის მარტში გამოიძახეს. მისი დებიუტი ეროვნულ გუნდში 25 მარტს, შვედეთის ნაკრებთან მატჩში შედგა. ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში პირველი გოლი 2021 წლის 2 ივნისს, რუმინეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში გაიტანა.

გიორგი მიქაუტაძე შოთა არველაძის და გიორგი ქინქლაძის შემდეგ მესამე ქართველი მოთამაშეა, რომელიც „აიასში“ ითამაშებს.

ოვალური გურთი

4 ნახევარი და მთლად ჩვენიანი

მსოფლიო თასამდე ერთი კვირით ადრე ცნობილი გახდა იმ მსაჯთა ვინაობა, ვინც საფრანგეთის სტადიონებზე მორჯულო-სანთა ჯგუფური რაუნდის შეხვედრებს მოემსახურება. ისინი სარაგ-ბო სამყაროში აღიარებული პროფესიონალები არიან და ადრე უშუალოდ გაძლიერებულ საქართველოს ნაკრების მატჩებს:

9 სექტემბერი (პარიზი) – ავსტრალიასთან (ლუკ პირსი – ინგლისი).

23 სექტემბერი (ტულუზა) – პორტუგალიასთან (პოლ უილიამსი – ახალი ზელანდია).

30 სექტემბერი (მორლო) – ფიჯისთან (კარლ დიქსონი – ინგლისი).

27 ოქტომბერი (ნანტი) – უელსთან (მეთიუ რეინალი – საფრანგეთი). სხვათა შორის, სწორედ მან იმსაჯა მორჯულო-სანთა ბოლო საზაფხულო ტესტი შოტლანდიაში, სადაც ჩვენი გუნდის შერჯინების კვატმა შალვა მამუკაშვილმა მე-100 სანაკრებო კუპი მოიხვეჭა და მე-6 ცენტურიონი გახდა, ვინც აღ-



ნიშნულ ზღვარს უწია.

ვფიქრობთ, არანაკლებ დაგაინტერესებთ იმ მატჩების განრიგი, რომელთა გაძლიერების პატივს ახალგაზრდა ქართველ არბიტრს ნიკა მამუკელს ხვდა წილად. ასეთი სულ 7 შეხვედრაა და მათგან სამში იგი მთავარი მსაჯი იქნება, ხოლო ოთხში – კიდევ:

9 სექტემბერი (მორლო) – ირლანდია – რუმინეთი (მთავარი).

10 სექტემბერი (მარსელი) – სამხრეთ აფრიკა – შოტლანდია (კიდევ).

17 სექტემბერი (ნიცა) – ინგლისი – იაპონია (მთავარი).

22 სექტემბერი (სენტ ეთენი) – არგენტინა – სამოა (კიდევ).

24 სექტემბერი (ნიცა) – შოტლანდია – ტონგა (კიდევ).

1 ოქტომბერი (სენტ-ეთენი) – ავსტრალია – პორტუგალია (მთავარი).

7 ოქტომბერი (ლილი) – ინგლისი – სამოა (კიდევ).

ორიოღა სიბყვით

ბატამეზა

თაშვისთავად, 6 მედალს არაფერი დაეწუნება, მაგრამ როცა ძიუდოზე ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში ცოტა სხვაგვარადაა საქმე.

დაიხ, ტატამის ქართველმა დიდოსტატებმა ისე მიგვაჩვიეს უმაღლეს ტიტულებს, რომ ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში გამართული ვადეტა მსოფლიოს ჩემპიონატის 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მედლისთვის შეიძლება წარმატება იყოს, მაგრამ ჩვენთვის – არა.

ასეა თუ ისე, გაგაცნობთ მალკანური ფორუმის პრიზიორთა ვინაობას: **ვერცხლი** – მერამ სამადაშვილი (55) და ცოტნე ბახტაძე (73); **ბრინჯაო** – შოთა ბაჩოშვილი (50), გიორგი გივიშვილი (66), გიორგი მენდელიანი (81) და შოთა გორიაშვილი (90).

რაც შეეხება გუნდურ ტურნირს (მიქსი), ჩვენი ნაკრები სტარტზევე დამარცხდა იაპონიასთან.

კუგუზა

ადმოსპორტი ორთაბრძოლების მექაში – ჩინეთში დასრულდა 70 ქვეყნის მონაწილეობით გამართული

მსოფლიოს ჩემპიონატი კუნძულებზე, რომელშიც შესანიშნავად იასპარავდა საქართველოს უმუს ეროვნული ფედერაციის ნაკრებმა.

22 მედალი – 3 ოქრო, 6 ვერცხლი და 13 ბრინჯაო – ასეთია ჯვაროსანთა შთამბეჭდავი აზიური ნადავლი.

ცისქვეშეთში გამართულ ფორუმზე განსაკუთრებით გვასახლეს სუსტი სქესის წარმომადგენლებმა, რომლებიც ორჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეგის უმაღლეს საფეხურზე – სოფიკო აფხაზაძე და მაკა გაბესკირია. ჩვენი გუნდიდან მესამე ტრიუმფატორი გიორგი გერმანოზაშვილი გახდა.




სალიჩაზა

ბასპაროვმა იმ ფალავანთა წინასწარი განაცხადი, რომლებიც 16-24 სექტემბერს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში პარიზის 2024 წლის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე იჭიდავენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებში ათივე წონაში იასპარავებენ ორივე სახეობაში და შეეცდებიან, მარმან იქვე გამართულ მუნდიალზე ნაჩვენები მჭლე შედეგი გააუმჯობესონ (2 ვერცხლი – კლასიკოსები და 4 ბრინჯაო – თავისუფლები).

მერძულ-რომაული ჭიდაობის გუნდი: ნუგზარ წურწუშია (55), ფრიდონ აბულაძე (60), ლერი აბულაძე (63), ჯონი ხეცურია (67), რამაზ ზოიძე (72), იური ლომაძე (77), გელა ბოლქვაძე (82), ლაშა გობაძე (87), რომერტ კობლიაშვილი (97), იაკოვ ქაჯაია (130).

თავისუფალი ჭიდაობის გუნდი: მექა მუჯიაშვილი (57), შოთა ფარტენაძე (61), ედემ ბოლქვაძე (65), გიორგი ელბაქიძე (70), ავთანდილ კენჭაძე (74), ვლადიმერ გამყრელიძე (79), ტარიელ გაფრინდაშვილი (86), მირიან მისურაძე (92), გივი მაჭარაშვილი (97), გენო პეტრიაშვილი (125).



„თეთრი სახლი ანაკლიაში“

ანაკლიას პოპულარიზაცია აქლია, არამხოლოდ უმცირესი ტურისტული, ქართული მემკვიდრეობის არაა, არამედ მისი უნიკალური სანაპირო ზონის განვითარების მიზნით. მისი უნიკალური სანაპირო ზონის განვითარების მიზნით. მისი უნიკალური სანაპირო ზონის განვითარების მიზნით.

მდგომარეობის ირგვლივ არსებული მითითებების გამო. როგორც მიმდინარეობს შავი ზღვისპირეთში ტურისტული სეზონი, ამის შესახებ სასტუმრო „თეთრი სახლი ანაკლიაში“ დამფუძნებელმა მარინე თოდუამ ისაუბრა. მისი თქმით, ანაკლიის მთავარი პრობლემა ისაა, რომ კურორტის პოპულარიზაცია აქლია.

ეთემს დასვენებელს კომფორტული გარემო და ხარისხიანი სერვისი შესაძლებელია, თუმცა სასტუმროს მიღება კურორტზე ტურისტული ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია. კურორტს უამრავი გამოწვევა აქვს. მაგალითად, ხშირად ელექტროენერჯის არქონაა პრობლემა. ანაკლიის ცენტრალურ ქუჩას განათების აკლია, გასახლებული ველომობილიზაცია, მოსაგვარებელია მოსაგვარებელი პრობლემა. სეზონის დაწყებამდე მიზნითან ერთად ამ ყველაფრის მოწესრიგება უნდა ხდებოდეს.

განნიკვლავს შუა ოკეანეში მხსნელად ქართველები მოვლინდნენ...

ქართველმა მფლობელებმა კაპიტან ალექს სურმანიძის მეთაურობით 10 ადამიანის სიმრავლი მხსნელად ქართველები მოვლინდნენ...

მანძიდან ერთად, ეკიპაჟის შემადგენლობაში იყვნენ: თენგიზ დიასამიძე, გერასიმ სურმანიძე, საბა ზერიძე, უჩა ჭინკაძე, ირაკლი ასამბაძე, ირაკლი კონცელიძე, გიორგი ომერაძე, გიორგი გოციტიძე, არჩი ჭინკაძე, არჩი ზაქარაძე, მამუკა ტოლიანი, მინა სურმანიძე და ლაშა მენაღარიშვილი.



ქალიან სფრთხილოა, რომ ბავშვებს არ ნაპარტივით ბავშვობა და ისინი არ აღვზარდით მხოლოდ მაღალი ელიტარული ნორმებით

ქალიან სფრთხილოა, რომ ბავშვებს არ ნაპარტივით ბავშვობა და ისინი არ აღვზარდით მხოლოდ მაღალი ელიტარული ნორმებით. თქვენ ახლა ახსენეთ, რომ რაღაც ასაკში ბავშვს მოსწონს ყვეს ისე, როგორც ყველას, ან უსმინოს მის, რასაც ყველა უსმენს... ანუ, ბავშვს აქვს მიდრეკილება, იყოს ისეთი, როგორც ყველა, თუმცა, ამის პარალელურად, საგარეოდ, მშობელს სურს, ბავშვს განუვითაროს ინდივიდუალური იმიჯი. როგორ უნდა ვიპოვოთ ეს ბალანსი, რომ რაღაც ასაკამდე ჩვენი ბავშვი ჰგავდეს მის თანატოლებს, თუმცა, არ ჩავკლავთ მისი მისი განსხვავებულობა და თვითმყოფადობა?

როცა ბავშვს ეწყება სწრაფი ინდივიდუალიზაციის ვენ, ხშირად ამის შემჩნევა ადვილია, რადგან ჩემი დაკვირვებით, მას პროტესტი უჩნდება საკუთარი სახელის აღქმასთან დაკავშირებითაც კი. მშობელი ბავშვს არჩევს სახელს, მაგრამ როცა ის პირველად ხვდება სოციალურ გარემოში, ეზოში ან საბავშვო ბაღში, ხვდება, რომ მისი სახელი სხვა-საუკუნოა და ერთ მშვენიერ დღეს, მშობელი აღმოაჩენს, რომ ბავშვმა გადაიწყვეტა საკუთარი სახელი და სხვებს შევცვლილი ფორმით გააცნო თავი. ეს მშობლისთვის უნდა იყოს იმის ნიშანი, რომ ის თვითდამკვიდრებისთვის რაღაც ფორმას ეძებს და სჭირდება ცვლილება. ასე ხდება მისი სოციალური გაცნობა, ანუ, ერთ ადგილას მისი პიროვნება ერთნაირია, მეორეგან კი, სრულიად სხვანაირი... აი, როცა ასეთი ტენდენციები იჩენს თავს, ეს მშობლისთვის უნდა იყოს მანძიდან, რომ მის შვილს აქლია თავისუფლება! მაგრამ, როცა ბავშვისთვის სულერთია, რას ჩააცმევს მშობელი, თმას როგორ ათუქვებებს ან რა სათამაშოები ათამაშებს, მშობელს უნდა ეინფოს, რომ აქ სამუშაო, პირიქით აქვს ჩასატარებელი და მათ ინდივიდუალიზაციის დეტალები უფრო მეტად უნდა გაუდვიტოს, რომ თავი არ აკრძანებინოს მუდმივად ერთფეროვნად, ინდივიდუალურად და მისი წევრად მივიღოთ იქამდე, რომ ორივე შემთხვევაში ზომიერება გადაწყვეტილია. ხშირად შევხვდებით, როცა ბავშვს აქვს გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი და მშობელი მიმართულია, რომ ჩაახშოს, აღმოფხვრას მისი თვითინდივიდუალურობა, რაც ძალიან არასწორი მიდრეკილებაა! სწორი მშობლობა ისაა, აპოენინო ბავშვს საკუთარი თავი და მისევე არჩევანის თავისუფლება.

ქალბატონო ირინა, ძალიან დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის, დარწმუნებული ვარ, მადის ასაკის ბავშვების მშობლები ჩვენი დღევანდელი ინტერვიუდან ბევრ ახალს და საინტერესოს შეიტყობდნენ და იმედია, გაითვალისწინებენ კიდევ თქვენს რჩევებს!

კანონდარღვევა არ დადასტურდა

კონკურენციის ეროვნული სააგენტომ, საზღვაო გადაზიდვების სექტორში წარმოებული მოკვლევა დაასრულა, რომელიც ორი მიმართულებაში – დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ზოროტად გამოყენებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საგარეოდ დანდევების ფაქტს ეხებოდა, – კონკურენციის ეროვნული სააგენტო აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

„სააგენტომ მოკვლევა – MGL GEORGIA-ს საჩივრის საფუძველზე, „ჯინ ჯორჯიას“ წინააღმდეგ, 2022 წელს დაიწყო. კერძოდ, მომჩივანი კომპანიის აზრით, შპს „ჯინ ჯორჯია“ როგორც ჩინეთში დაფუძნებული საზღვაო ხაზის Cosco Shipping Lines-ის ოფიციალური წარმომადგენელი – დომინანტურ მდგომარეობას იყენებდა ზოროტად, რითაც საზღვაო ხაზით სარგებლობის შესაძლებლობას მღუდავდა. დავის საკითხი ასევე შეეხებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს, რაც რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელებაში გამოიხატებოდა. მოკვლევის შედეგების მიხედვით, არც ერთი მუხლით არ დადასტურდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა. სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება მხარეებს შეუძლიათ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში.

მუშაობენ უნაპარტივოდ და უასუსნიშობლოდ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის აგრძელებს აქტიურ საგამოძიებო მოქმედებებს ნებართვების გარეშე და სანებართვო პირობების დარღვევით მოქმედი აფთიაქების გამოკვლევის მიზნით.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში, თბილისის, სამეგრელოს, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში გატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, გამოვლენილი იქნა კანონდარღვევით მოქმედი 18 აფთიაქი.

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დადგინდა იქნა, რომ ხსენებულ სააფთიაქო დაწესებულებებს არ გააჩნდათ საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ნებართვები, საიდანაც რეგისტრის გარეშე ახდენდნენ სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაციას. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია დიდი ოდენობით ფსიქოტროპული მედიკამენტი, მათი რეალიზაციიდან მიღებული თანხა, ინფორმაციის შემცველი კომპიუტერული ტექნიკა და დოკუმენტაცია. ამ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელებულია 33 პირის მიმართ.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში, თბილისის, სამეგრელოს, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში გატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, გამოვლენილი იქნა კანონდარღვევით მოქმედი 18 აფთიაქი.

ქართველი მხარსმდებელი იტალიაში

იტალიაში, ბინების ძარცვის მრალდებით, საქართველოს რვა მოქალაქე დააკავეს, – ინფორმაციას იტალიური მედია ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს. საქართველოს მოქალაქეები ქალაქ სალერნოში დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, მათი უმეტესობა ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებოდა.

„კმაყოფილებას და მადლიერებას გვრძნობ დღეს სალერნოში სახელმწიფო პოლიციის მიერ ჩატარებულ ოპერაციასთან დაკავშირებით, რომელიც დედაქალაქის პროკურატურის მიერ კოორდინირებული გამოძიების ნაწილი იყო. შედეგად, მოხდა ბინების ძარცვაში სპეციალიზებული დაჯგუფების წევრების დაკავება,“ – განაცხადა იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მატეო პანტელისიმ.

შოკში საქართველო სამუშაოები ბრძოლაში

რამაში, სტიქიის ზონაში სამძებრო სამუშაოები უკვე 29-ე დღეა, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ამ დრომდე ნაპოვნი 31 მოქალაქის ცხედრები უკვე ყველა იდენტიფიცირებულია, – ამის შესახებ რაჭის გუბერნატორმა, შაპუნა მარგველიძემ განაცხადა. მისივე თქმით, ამ დროისთვის გრძელდება ორი მოქალაქის საძიებო სამუშაოები.

„სამძებრო ღონისძიებებში კვლავ გრძელდება. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს, სადაც ჩართულია ყველა უწყება და გაგრძელდება, ვიდრე იქნება მცირედი თეორიული შანსი დაკარგული მოქალაქეების პოვნის. არეალი გახლავთ უშუალოდ კურორტ შოკის ტერიტორია, ასევე გრძელდება საძიებო სამუშაოები მდინარე ჭანჭახისა და მდინარე რიონის კალაპოტში გუმბათისკენ“, – განაცხადა შაპუნა მარგველიძემ. მისივე თქმით, გუშინდელ დღეს მორე ნახევარში იპოვეს ადამიანის ცხედრის ფრაგმენტი, რომელსაც ქუთაისის ექსპერტის ბიუროში დნმ-ის კვლევა უტარდება.



ღმერთის დედობა უკვე პოეზიას

ბია შერეულია:

რა სოცრებაა,
ღმერთსაც
რომ ჰყავს
დედა - ყველა
დედაში
ღვთის-
მშობელი
ცოცხლობს



„მან „მიძინა“ – რამდენი სიყვარული და რა დიდი იმედი ჩანს ამ ერთ სიტყვაში.
ეს მარიაშია – დიდებული და უზნალო.
ყველა ადამიანზე აღმატებული და ყოველი სულისთვის მარადიული მლოცველი – კაცთა მეოხი ღვთის წინაშე.
ღვთისმშობელი – რა საოცრებაა, ღმერთსაც რომ ჰყავს დედა. მას ახარეს პირველად, რომ იესო დაიბადებოდა.
მან იხილა პირველი სასწაულიც და შვილის ჯვარცმის საშინელებაც. „ვაი, რა მწარედ იწყოდნენ ნაწლები მარიაშია!“
არ ყოფილა იმაზე ამაღლებული, ტრაგიკული და მშვენიერი დატრეხვა, მიქელანჯელოს პიეტა რომ გამოაქანდაკებინა.
მარიაში მთელია თვით იესო მიძინების წინ.
ის მფარველობს სიკეთეს, სიციხეს, სიყვარულსა და საქართველოს.
არავის რგებია წილად უფრო მეტი მეტათვრა, ვიდრე ღვთისმშობელს – ღმერთის დედობა უკვე პოეზიაა. ჩვენი „შენ ხარ ვენახი“ და „დავითიანი“ დაუსრულებლად უგალობენ ერთ უზნალო ქალს, რომლის დიდებამაც მთელ სამყაროს უწია.
ყველა დედაში ღვთისმშობელი ცოცხლობს. ქართველებო, გილოცავთ მარიაშიაში!“ – ამ პოსტით მიულოცა მარიაშიაშიის დღესასწაული ქართველ ხალხს ფილოლოგიის დოქტორმა გია მურდულიამ.

იაპონური თოჯინები სიღნაღს სტუმრობენ

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით, იაპონიის ფონდის ორგანიზებითა და საქართველოში იაპონიის საელჩოს ხელშეწყობით სიღნაღის მუზეუმი მასპინძლობს გამოფენას „იაპონიის თოჯინები“.
იაპონიის ფონდის მისიაა, ხელი შეუწყოს მსოფლიოსთან იაპონიის კულტურული ურთიერთობის გაღრმავებას. იაპონური ხელოვნებისა და კულტურის უცხოეთისთვის გასაცნობად ფონდი განუწყვეტლივ ახორციელებს „მოგზაური გამოფენის“ პროგრამას, რომელიც მოიცავს ფონდის კოლექციის ნამუშევრებს და ყოველწლიურად მსოფლიოს დაახლოებით 80 მუზეუმსა და საგამოფენო სივრცეში ტარდება.
„NINGYO – იაპონური თოჯინების ხელოვნება და სილამაზე“ ძალიან პოპულარული „მოგზაური გამოფენაა“. თოჯინების კულტურა, რომელიც იაპონიის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა, წარმოდგენილია კატაპროლიდან და ამგავსიდან ჩამოტანილი 67 რჩეული თოჯინით, რომლებიც იაპონური თოჯინების არქიტექტურადაც ითვლება. სიღნაღის მუზეუმს იაპონიის ფონდსა და იაპონიის საელჩოსთან ხუთწლიანი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებს. სწორედ აქ მოეწყო 2017 წელს იაპონიის თოჯინების „მოგზაური გამოფენა“. მას შემდეგ იაპონიის საელჩოს ინიციატივით გაიმართა იაპონური ხელოვნებისა და კალენდარის, აკვამი ლუკასის, მხატვარ-ილუსტრატორ ტაკეჰიდე ჰარადას, დიპლომატიისა და მოყვარული ფოტოგრაფის, იმანიში ტაკაოს, ნამუშევართა გამოფენები. ექსპოზიციას მუზეუმი 17 ოქტომბრამდე უმასპინძლებს.



საზღვრულ კონცერტი სურათში

25 აგვისტოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ორგანიზებით, სურამის კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე საზღვრულ კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ჯგუფებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა. ინფორმაციას ხაშურის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.



„ჯგუფებმა spam jam, no time მეთლებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა სოფო საჩინაინმა და ნინი მალხაზიშვილმა საოცარი მუხტი, ენერჯია და „დრაივი“ შემოიტანეს და კონცერტი უფრო ლამაზი და ყურნადა გახადეს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

„რანინას“ გამარჯვებული საბავშვო ევროვიზიაზე ნარკვევებს

საბავშვო ევროვიზია 2023-ში, რომელიც ნიუაში 26 ნოემბერს გაიმართება, 16 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. წელს პირველად კონკურსს ესტონეთი შეუერთდა.

საბავშვო ევროვიზიაში მონაწილეობას მიიღებენ: საქართველო, ჩრდილოეთ მაკედონია, ესტონეთი, უკრაინა, ალბანეთი, სომხეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, მალტა, ნიდერლანდები და დიდი ბრიტანეთი. საბავშვო ევროვიზია 2023-ის სლოგანი იქნება „გმირები“. კონკურსი კი Palais Nikana-ს დარბაზში გაიმართება. წელს კონკურსზე საქართველოს ანასტასია ვასაძე წარადგენს. იგი საქართველოს პირველი არხის პროექტის, „რანინას“ გამარჯვებული გახდა. რიგით 21-ე საბავშვო ევროვიზია საფრანგეთის ქალაქ ნიუაში 26 ნოემბერს გაიმართება. საქართველო საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გამარჯვებული სამჯერ გახდა.



ქართველისგან უარყოფილი პარსკვლავი დაქორწინდა

სწრაფ „გაქცევის“ ვანსკვლავმა დომინიკ პარსელმა ქართველი მოდელის, ლიკუნა ხაჭაპურიძის უარის შემდეგ ცოლად მიიღო საირუსის დედა, ტიმ საირუსი შვირთო. ვანსკვლავური ქორწილი მალბიში ორი დღის წინ გაიმართა.



როგორც ცნობილია, დომინიკ პარსელი საქართველოში 5 წლის წინ იმყოფებოდა. ის 2019 წელს მოდელ ლიკუნა ხაჭაპურიძის გასაცნობად ჩამოვიდა. მოდელის თქმით, პარსელმა საქართველოში 1 კვირა გაატარა, ქართულ კულტურას გაეცნო და ლიკუნას გადაღებებსაც დაესწრო. მაშინ ლიკუნა ხაჭაპურიძე უურნალ „თბილისელს“ ინტერვიუში აცხადებდა, რომ დომინიკი გადასდებდა ჯგუფთან ამბობდა, რომ მას მოდელის ცოლად შერთვა სურდა, თუმცა, ლიკუნამ მეგობრობა აჩვენა, რის მიზეზადაც 26-წლიანი ასაკობრივი სხვაობა დაასახელა.

ნარკოსებს ეპის ჰქვია

იაპონური ნანამი Seven Seas ნაგურა წარმოსახვით გიტარაზე დაკვრას მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ნაგურამ 35,8 ქულა დააგროვა და უკვე მესამედ მიიღო მონაწილეობა ჩემპიონატში, რომელშიც 2014 წლიდანაა ჩართული.

ჩემპიონატი ყოველწლიურად ფინეთში, ქალაქ ოულუში იმართება. მონაწილეები გიტარაზე დამკვრელების მოძრაობების იმიტირებას ახდენენ და წარმოსახვით გიტარაზე „უკრავენ“. მათ ფონოგრამაზე ან ცოცხლად სიმღერაზე შეუძლიათ. კონკურსი ორი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე მონაწილეები წინასწარ მომზადებულ ერთწუთიან კომპოზიციას „უკრავენ“, მეორე ეტაპზე კი მათ ორგანიზატორების მიერ შერჩეული ფონოგრამის თანხლებით იმპროვიზაცია უწევთ. წარმოსახვით გიტარაზე დაკვრას მსოფლიო ჩემპიონატი პირველად 1996 წელს ჩატარდა.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS
REPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
საბარტაძე ძმობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა ვაშაძიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახაძე ძმობულია

პასუხისმგებელი რედაქტორები:

ბურაძე გომიანიძე

599 53-76-16;

ალექს
ასლანიანი

599 56-81-86;

გამომცემელი:

შპს 100 – ახალი

„საქართველოს რესპუბლიკა“

გაზეთ „საქართველოს

რესპუბლიკის“ გამომცემელი

599 36-00-35

შპს „თანადგობა“-1-გაზეთ

„საქართველოს რესპუბლიკის“

გამომცემელი

ტ: 599 79-76-79

იკავშირება სტამბა

„ქოლორი“

ი. ბაღდაშვილის №3

კოლორი

ჭავჭავი

საკრეპო

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი რედაქტორი: საბარტაძე ძმობულია. ტელ: 599-36-00-35. ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru. ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

აგვისტო 31 აგვისტოსთვის. ადამიანთა ურთიერთობის სამსახური: ბარბი - ლაშქაძე +14, ლაშქაძე +33; შიშინი რამიშვილი - ლაშქაძე +10, ლაშქაძე +32. ადამიანთა ურთიერთობის სამსახური: ბარბი - ლაშქაძე +21, ლაშქაძე +37; შიშინი რამიშვილი - ლაშქაძე +16, ლაშქაძე +37; თიანეთი: ლაშქაძე +18, ლაშქაძე +32.

დაგვიკავშირეთ, მოგვწერეთ: ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35. ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru. ვებ-გვერდი: www.sakresp.ge